თხრობითი ტექსტის დაწერა რევაზ ინანიშვილის მოთხრობის "გოგონა - ღამე რომ შეუყვარდა" მიხედვით.

რამ შეიძლება შემატოს სამყაროს სიცოცხლე და სილამაზე? ბევრი პასუხია ამ კითხვაზე, მაგრამ მთავარი მაინც ბუნებაა და მისი სილამაზე. ყვავილი, ხე, მდინარე, მზის სხივი ან წვიმის წვეთიც კი შეუძლიათ სამყაროს სილამაზე შემატონ. თუმცა, ბევრჯერ ადამიანები ამას ვერ ვხვდებით, ვერ აღვიქვამთ და ვანადგურებთ ყველაფერს, რითიც ვცოცხლობთ.

მეც ერთ-ერთი ბუნების ნაწილი ვარ, უბრალო ია, რომელიც მარტოსულად ამოვიდა ერთ-ერთი კლდის თავზე. ალბათ იფიქრებთ, რა ცუდია მარტოსულად კლდეზე ცხოვრება. მაგრამ როცა ვუყურებ გარემოს, ხედავ, როგორ შეიცვალა ცხოვრება, ქალაქები, გზები, მანქანები, ხმაური, თითქოს ადამიანები გაბოროტდნენ, ბუნების სილამაზის მიმართ გულგრილები გახდნენ. სიმართლე გითხრათ, აქ მარტო ყოფნა მირჩევნია. კლდის თავზე მშვიდია, ქარი მსუბუქად მეფერება, მზის სხივები მაცოცხლებენ, ჰაერი სუფთაა, ხოლო ვარსკვლავები ღამით ჩემ მეგობრებად იქცევიან.

მე ვხედავ თითოეულ ადამიანს, რომელიც სწრაფად მიდის, ყურადღებას არ აქცევს მცირეოდენ სილამაზესაც კი, რაც გზაზე ან კლდის პირას არის. მათ თვალებში ნეგატიური სწრაფვაა, სიჩქარე და ყოველდღიური საზრუნავი უფრო ჩანს, ვიდრე ბუნების აღიარება. მაგრამ მე არ ვკარგავ იმედს, ალბათ ვინმე, პატარა ბავშვი ან გულკეთილი ადამიანი, დაინახავს ჩემს ფერებს, შეამჩნევს სურნელს და გაეღიმება. ეს მძლავრ სიხარულს მანიჭებს, თითქოს ჩემი არსებობა არ არის უმნიშვნელო.

კლდის თავზე ყოფნა საშუალებას მაძლევს, შევინარჩუნო სილამაზე, რომელიც ადამიანს ხშირად უგულებელყოფს. აქ მშვიდად ვფიქრობ, ვფიქრობ ბუნებაზე, ადამიანებზე და მათ ურთიერთობაზე. მე ვარ ია, პატარა, მაგრამ

ძლიერი, რომლითაც მინდა დავანახო ყველას: ბუნების სილამაზე სიცოცხლის გარეშე არ არსებობს, ხოლო ადამიანის მოვლა და მზრუნველობა ბუნების მიმართ, ჩვენს მომავალს უსაფრთხო და ბედნიერს გახდის.

მარიამ ივანიძე